ბრძანება № 374

" 03 " 12 2014

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.10.2014წ. №339 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

"ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის შექმნისა და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის №24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ" და „ფ" ქვეპუნქტების თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.10.2014წ. №339 ბრძანების დანართი №1-ში და საკონკურსო წინადადებების განხილვის ვადა განისაზღვროს საკონკურსო წინადადებების მიღების დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29.10.2014წ. №339 ბრძანების და დანართი №1-ის სხვა პირობები დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი **ნინო ღოღობერიძე**

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 72 22 22 ფაქს. (+995 32) 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect